საზოგადოების დამოკიდებულების ცვლილებების შესწავლა 2015 და 2022 წლის ზოგადი პოპულაციის გამოკითხვის (GPS) შედეგების ანალიზის საფუძველზე

ავტორი

ანა კაპანაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ადიქციის კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი **ირმა კირთაძე**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2023 წელი

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა კაპანაძე

2023 წელი

აბსტრაქტი

შესავალი: ბოლო დროს ჩვენ შევესწარით საზოგადოების აზრთა და დამოკიდებულების მნიშვნელოვან ცვლილებას ნარკოტიკების მომხმარებელ პირთა მიმართ. თუმცა, დაკვირვებები გვიჩვენებს, რომ საზოგადოება კვლავ ახდენს წამალდამოკიდებული პირების სტიგმატიზებას. რამდენიმე ქვეყანამ გააცნობიერა ცვლილებების აუცილებლობა და ახორციელებს ნარკოპოლიტიკის რეფორმირებას, რაც იწვევს უფრო მსუბუქ სასჯელებს. ეს რეფორმები იწვევს საზოგადოებრივი აზრისა და დამოკიდებულების ცვლილებას. ამ ტრანსფორმაციის შესანიშნავი ილუსტრაცია ჩანს მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების ფლობის დეკრიმინალიზაციაში, ან თუნდაც ნარკოტიკების მოხმარების ლეგალიზაციაში. მიუხედავად იმისა, რომ იგი ოდესღაც ბევრ ქვეყანაში სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლებოდა, ახლა ეჭვქვეშ დგას ამ პერსპექტივით, რაც ხელს უწყობს აქტიურ და გადამწყვეტ დისკუსიას მის პოტენციურ ცვლილებასთან დაკავშირებით.

კვლევის მიზანი: სამაგისტრო ნაშრომის მიზანია ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების შემსწავლელი ზოგადი პოპულაციის გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემების მეორადი ანალიზის მეშვეობით 2015 და 2022 წლებში საზოგადოების მოსაზრებების ცვლილების შედარება წამალდამოკიდებული პირებისა და ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელთა მიმართ.

კვლევის მეთოდი: სამაგისტრო ნაშრომისთვის გამოყენებულია მონაცემთა მეორადი ანალიზის მეთოდი, რომლითაც შედარდა 2015 და 2022 წლებში ჩატარებული საზოგადოების დამოკიდებულებებთან დაკავშირებული ცვლადების სიხშირეები.

შედეგები: 2015 წლიდან 2022 წლამდე პერიოდში შესამჩნევი იყო საზოგადოების პოზიტიური დამოკიდებულების შემცირება ნარკოტიკების მომხმარებელ ადამიანთა მიმართ. საზოგადოებაში უმეტესად გავრცელებული მოსაზრებები კვლავ ასახავს

თანაგრძნობის ნაკლებობას იმ პირების მიმართ, რომლებიც ებრძვიან წამალდამოკიდებულებას.

დასკვნა: კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ საზოგადოების აზრი 2015 წელთან შედარებით 2022 წელს შეიცვალა უფრო ნაკლები ემპათიურობისკენ. ქალები მეტი სიმკაცრით გამოირჩევიან ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელი პირების მიმართ და დაჯარიმების ან დაპატიმრების შემთხვევაში უმრავლესობა ამართლებს ასეთი დასჯის მეთოდს. ასევე გამოიკვეთა, რომ საზოგადოების მოსაზრებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ასაკი და განათლების დონე.

საკვანძო სიტყვები: საზოგადოებრივი აზრი, დეკრიმინალიზაცია, ზოგადი მოსახლეობის კვლევა

Abstract

Introduction: In recent times, we have witnessed a significant shift in people's opinions and attitudes towards people who use drugs. However, observations shows that society still stigmatizes individuals struggling with drug addiction. Several countries have recognized the need for change and are reforming their drug policies, leading to lighter punishments. These changes result in shifts in public opinion and attitudes. An excellent illustration of this transformation can be seen in the decriminalization of possession of small amount of drugs, or even legalization of drug use. While, it was once deemed a criminal offense in many countries, there is now a growing consensus questioning this perspective, fostering an active and crucial discussion regarding its potential change.

Purpose of the study: The purpose of the master's thesis is to compare public attitudes between 2015 and 2022 through a secondary analysis of data obtained from the general population survey.

Method: The secondary analysis method is employed in the master's thesis to examine the frequencies of variables pertaining to public attitudes between 2015 and 2022.

Results: Over the period from 2015 to 2022, there has been a noticeable decline in the positive attitude of society towards people who use drugs. Prevailing opinions in society still reflect a lack of empathy towards individuals struggling with drug addiction.

Conclusions: It was revealed that the opinion of the public in 2022, compared to 2015, changed towards less empathy. Women are more strict towards drug users, and in case of fines or arrests, the majority justifies such a method of punishment. It was also revealed that age and education level have a significant influence on public opinion.

Key words: change, public attitude, law, decriminalization, social practice.

მადლობა

მადლობას ვუხდი თემის ხელმძღვანელს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორს **ირმა კირთაძეს** კვლევის პროცესში გაწეული დახმარებისთვის და რეკომენდაციებისთვის.

მადლობას ვუხდი წამალდამოკიდებულების კვლევით ორგანიზაცია ალტერნატივა ჯორჯიას ჩატარებული კვლევების მონაცემთა გაზიარებისთვის, რომელმაც შესაძლებლობა მომცა შემესწავლა და შემედარებინა მონაცემები.